

ჩვენი

# კვეყანა

**რედაქცია** ღიაა: დღის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

**საბავშვო** მასალა უნდა იყოს დაწვრილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისი მართი დასახელება. წერილებს უნდა აქვთ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოტივებით.

**რედაქცია** ღიაა: დღის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

**მისამართი** ქუთაისი, თეოდოსის ქ., ფინანსის ს. ფოსტის ადრეტი: ქუთაისი, ფოსტის ცენტრი № 80.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის იტგანო

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ყოველ დღიური გაზეთი

**„ჩვენი ქვეყანა“**

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დღის 10 საათიდან 5 საათამდე, საღამოს 5-7 საათამდე.

**ხელის მომწერთა**

**საყურადღებო**

ბაზ. „ჩვენი ქვეყანის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება, დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შეწყვიტოს გაზეთის გზავნა.

**განცხადება.**

რიონის სადგურზე მიღებების გამყიდვე კასრის სტაჟულკოსკაის პინაზე გამგზავრების გამო, საჩქაროდ

**იყიდება პიანინო**

გოტის ფაბრიკისა. პიანინო შეუძლია მსურველმა გაიგოს რიონის სადგურზე 1 კლასის ბუფეტში. ვალინოვსკაისთან. 2-1

**მთავრობის დეკლარაცია.**

მთავრობის დეკლარაცია, წაკითხული დამფუძნებელ კრებაზე 24 მარტს, საყვებით შეფუთვება მენშევიკ-სოციალ-დემოკრატების გამაურვეველ პოლიტიკას.

1. დეკლარაცია მიზნად ისახავს „მშრომელთა ბატონობის“ განმტკიცებას.

რას ნიშნავს „მშრომელთა ბატონობა“? პროლეტარიატის დიქტატურის ხომ არა? მაგრამ მაშინ ხომ მთავრობამ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს შინ მესაკუთრეებს სხვათა შორის მიწისმომცემს და გარეთ გამარჯვებულ კოალიციას?

ნუგეშად ის და დავგრჩენია, რომ დეკლარაცია ამ საკითხის შესახებ გადაჭრით არაფერს ამბობს.

2. „უნიწაწყო და მკორემპულიან გლეხთა მიწით უზრუნველსაყოფად მთავრობა განაგრძობს აგრარული რეფორმის დამკარგებელ განხორციელებას და ხელს შეუწყობს ინტენსიური სასოფლო მეურნეობის აღორძინებას“.

დეკლარაციის ეს მეორე მუხლი, უკვე ვეღვა, ანაჟიის ახალ წყაროდ შეიქნება. დღემდის თუ უტკივრად ჩაიარა მიწების ჩამორთმევამ, მიზეზი ის იყო, რომ მიწებს „თავადებს“ ართმევდნ, რომელნიც დღევანდელ პირობებში დაბალ ლაბეს წარმოადგენდნ. აწ კი გლეხებზეა ჯერი. და, უმკველია, გლეხები ხსენებულ რეფორმის საშინელ წინააღმდეგობას გაუწევნ.

მეტად ვერ შეურიგდებიან კანონის იმ დებულებას, რომლის ძალითაც, მაგალითად, თქვენს წევრიან ოჯახსაც იმდენი მიწა უნდა ჰქონდეს, რამდენიც ხუთწევრიან ოჯახს.

რაც შეეხება ინტენსიურ მეურნეობას, ამის შესახებ ლაპარაკი კი მეტია: ინტენსიური მეურნეობა შეუძლებელია იქ, სადაც კერძო საკუთრების საფუძველი შეწყვეტილია.

3. „მთავრობა შეეცდება ფართო ასპარეზი გაუხსნას კერძო ინიციატივას, როგორც წარმოების, ისე აღებ-მიცემების სფეროში“.

მაგრამ მთავრობის დღევანდელი პოლიტიკა სწორეთ ამ მუხლის უარყოფას წარმოადგენს.

მწარმოებლის კერძო ინიციატივას ლაპარაკი, როდესაც ის თავისი ქარხნის პატრონი და გამგე არ არის, განა შესაძლებელია?!

4. „საქართველოს მთავრობა მწვავეთ გრძობს სამუსულმანო საქართველოს დიდი ნაწილის დროებით ჩამოშორებას და სკდლოზს ისტორიული უსამართლოების გამოსწორებას და მთლიანი რესპუბლიკის დარღვევაში მთელი საქართველოს თავმოყრას“.

მაგრამ განა ყარსის ოქლის პირი, ლაზიკა-სამპადაინო საქართველო არ არის? და როდის იყო, მთავრობა რომ ამ ქვეყნების შემოკრებისათვის ზრუნავდ?! არაოდეს. და ამის მიზეზი უმთავრესად ის

არის, რომ მთავრობის პოლიტიკამ ისე დააუღიროს საქართველო, რომ რაკ ხელი გვიკარავს, იმის შერჩენაც კი გვიძმის.

5. ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას წინ კიდევ რაველი დაბრკოლება ელოდება. მხოლოდ სამშვიდობო კონგრესს თავისი უკანასკნელი სიტყვა ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ არ უთქვამს. მაგრამ ჩვენ სრული იმედით შეგუჯრებით მოსვალს.

„ზოგჯერ თქმა ხვობს არათქმასა, ზოგჯერ თქვითაც დაშვებდნისო“, ამბობს რუსთველი. ასიტომ მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ არაფერს ვიტყვი: ვიტყვი მხოლოდ, რომ საგარეო პოლიტიკა სუსტით შევსაბამება შინაურს, რომლიც ანაოგულსაც წარმოადგენს.

6. მთავრობა „შეეცდება სივებით დაეყრდნოს თვითმართველობას კორგანოვებს, რომელთაც შეინიჭებთ უფლება ადგილობრივი მართვა-გამგეობისა და რომელნიც ხალხთან დაახლოებული არიან“.

ადგილობრივ თვითმართველობათა უფლებანი ჩვენც გვქმამს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს თვითმართველობანიც მთავრობის შეცდომებს იმეორებენ, ე. ი. ცალმხრივს, არასახელმწიფოებრივ პოლიტიკას აწარმოებენ.

7. „მთავრობა მიზნად ისახავს ხარჯების შემოკლებას და ბიუჯეტის ახლო მომავალში მოგვარებას“.

მაგრამ ეს, რასაც ვერვლია, ცალიტრი დაირებაა. როგორ შეუძლია მთავრობის შეიმოტოს, მაგალითად რკინის გზის ხარჯები, როდესაც მუშების დათხოვნა ფაქტურად მთავრობის კი არ გეითხება, არამედ თით მუშათა კომიტეტებს?! ასე ფოსტა-ტელეგრაფში და ყველა სხვა დაწესებულებაშიც.

მეორე მხრით ძნელია გადასახადების სისწორით შეწერა, რადგან არაფერ იცის, ვის რა ეკუთვნის, ვინ რის შესაკუთრება.

მასადამე, სახელმწიფო რეგალიები (რკინის გზები და სხ.) რესპუბლიკის ყრველდვის ზარას მისცემენ, გადასახადების შეწერა და აკრფა კი შეუძლებელია.

მთავრობა გვირდება აგრეთვე სასურსათო კრიზისის საფრთხის თავდასაც კლებას, სხვადასხვა მთავრულ სენთან ბრძოლას და სხ.

მაგრამ, ნათქვამიდან ცხადად ჩანს, რომ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას არ შეუძლია აგვიცილოს არკერით საფრთხე, არც ფინანსიური და სასურსათო და მასადამე არც პოლიტიკური.

ნაკეთებია მთლიანი საქართველოსი და როდესაც სახალხის აგენტები და დენიკინის რაზმელები აგრეტებდნენ (რუხნებს:

ჯავახეთი და აფხაზეთი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი არიანო, — იც ამწვავებდა მღვინოზარებას.

მტრებს, უპასუხისმგებლო პირებს გავრცელებული ჰორეზი ხეჯროდეს, სამეტოდ იყენებდნ და გათამამებულნი უფრო მხნეთ ილაშქრებდნ საქართველოს შიდა ნაწილებსაკენ.

საქართველოს განდგურების მოლოდინი მათ გამხეცებულ სახეზე ღიმილით ისახებოდა.

მაგრამ ერთი უტხოვლის თქმით: საქართველოში ვერფერს გაუხარია. და განმეცებულ სახეებზე გამოსახული ღიმილიც გქმარა.

ჯავახეთიდან და აფხაზეთიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობები ერთხელ და სამუდამოდ ამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყნის ეს ორი ისტორიული ნაწილი საქართველოს ვერ ჩამოშორდება და იქ მომინადრე მკვადრნი მდგარი დამკვეთნი იქნებიან საქართველოს მთლიანობისა.

ჯავახეთის მუსულმანების პროტესტი აღწერილხანდაში, პროტესტი აფხაზეთის სახალხო საბჭოსი, დენიკინის არმიისაგან აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილის დაკაგების გამო და მიმართვა აფხაზეთისა საქართველოს მთავრობისადმი, რომ მიღებულ იქნეს ზომები აფხაზეთის ტერიტორია გაიშინდოს დენიკინის ჯარისგან, ცხადათ მოწმამს, რომ არც ჯავახეთში და არც აფხაზეთში არ ყოფილა მტრული განწყობილება საქართველოსადმი. მაგრამ მაინც თუ რყო შემთხვევითი გამოსვლები, ამას აწკობდენ;

ოსმლების ემისარები და დენიკინის ჯაშუშები.

დღემდის შეგნებულ ჯავახელები და აფხაზეთი თვითონვე ჩაიშობენ, როგორც ოსმლების ემისარებს, ისე დენიკინის ჯაშუშებს და დარაჯათ დაუდგებიან საქართველოს თავისუფლებას.

მაგრამ ჯერ უნდა გაიშინდოს აფხაზეთის ტერიტორია დენიკინის ჯარისაგან და ეს უნდა ჰქნას ქართველმა მხედრობამ. დენიკინმა უნდა იგეზოს ისეთი მარცხი, როგორც ჯავახეთში იგემა ოსმლების ასკრება და თათრების ბრძობაში.

საქართველოს მტრები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამარცხდნ, რომ საქართველოზე გამოლაშქრება საშინელებათ მოკლანდასო.

ჩვენს ხარჯზე აღებმეიჯანის „ზრუნვა“ ჯავახელი მუსულმანებისადმი და დენიკინის ოცნება მთლიანი რუსეთის ილდგენის შესახებ უნდა სამუდამოდ გაგვქარწყლოთ.

საქართველო ვერ შეეთვისება მონობას, იგი უნდა გაერთიანდეს და მთლიანის ძალით მტერს წინააღმდეგ.

ასეთი ნიშნები უკვე აღინიშნა ჩვენი ერის ცხოვრებაში აფხაზეთის სახალხო საბჭოს და ახალციხის გლეხთა ყრილობის დადგენილებით.

როგორც აფხაზეთის სახალხო საბჭოს, ისე ახალციხის გლეხთა ყრილობის დადგენილებას ისეოფე დირბეულება აქვს ჩვენთვის, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს.

ნელი.

**ჯავახეთი და აფხაზეთი**

განახლებულ საქართველოში, დღემდის რესპუბლიკური წეს-წყობილების დამკარებისა რამდენიმე ომი გადიხადა. ქართველმა ერმა გამოსცა და ბევრი მწარე დღეები სთმებისა თუ სხვა მზასხლვრე ერების თავდასხმით, მაგრამ ამ დღეებში ყველაზე მწვავე იყო ბრძოლა:

ჯავახეთის და აფხაზეთის მიმართულღებთ.

ჯავახეთი და აფხაზეთი ისტორიული

### პ რ ე ს ა.

#### აზროვნების დეგენერაცია.

„სახ. საქმე“ მთავრობის დეკლარაციას იწუნებს: „მთავრობის ეკონომიური პერსპექტივა უძველესად უნდა ყოფილიყო სოციალისტური ეკონომიკით გამსჭვალული“. არ ზრუნავს და არ ფიქრობს ჩვენი მთავრობა და „სახ. საქმის“ ასეთს მეთაურს თან მოხდეს თ. ლლონტის ვრცელი წერილი სადაც „კაპიტალიზმის დეგენერაციის“ შესახება ლაპარაკი, მაგრამ ამ წერილში ჩვენ უფრო ფედერალისტური აზროვნების დეგენერაცია ვნახეთ ვიდრე კაპიტალიზმისა:

თანამედროვე რევოლუცია ნიშნავს კაპიტალიზმის დეგენერაციის მოსპობას, ეს ნიშნავს კაპიტალიზმის გაუქმებას, ეს იქნება უდიდესი თანამედროვე კულტურული აქტი, ეს იქნება დაწვა ტრესტების თამაშებისა, ვალების გაუქმება, სიძვირის მოსპობა და ეკონომიური კულტურის მართლა განახლება. სხვა გამოსავალი არ არსებობს. ან სოციალიზმი ან კაცობრიობის გადაწყვეტა! — ასე სდგას საკითხი და ჩვენი ქვეყანაც უნდა გაიმსჭვალოს საკითხის ასე დაყენების აზრით.

დღეს კაპიტალიზმის აგონიის ხანაში ობიექტიურად და სუბიექტიურად არის დიდი მასალა სოციალიზმისაკენ პრაქტიკული ნაბიჯებისათვის და როგორც ამ ნაბიჯებშია ხსნა თანამედროვე მსოფლიოს, თანამედროვე კაცობრიობის და კულტურის, ისე სოციალიზმშია ხსნა საქართველოს რესპუბლიკის, ქართველი ხალხისა.

საბარალო სოციალიზმი! არაფის არ დაუტანჯავს ეს მოძღვრება საქართველოში ისე, როგორც ფედერალისტებს. გუშინწინ ამ ხალხს პატიოსანი, მაგრამ დაუდგარი პრინციპების არჩილი მიუძღოდა, გუშინ კი უარჩილობა ისე დააჩდა, რომ შენ შევიკური მთავრობის კარისკაცობაც გაუტირდათ. დღეს ეს უმადური თანამედრობაც ჩამოართვეს, როგორც უხეირო მოჯამაგირე ისე გააძევეს სასახლიდან და აღარ იციან რა თქვან, რა გააკეთონ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ბევრია სოციალისტი, გულწრფელი სოციალისტი, მაგრამ ასეთები თითქოს ფედერალისტები იყვნენ, ამაში დარწმუნება ფიზიკურად არ ძალგვიძის.

### „შავი სახალი“.

შავი ანუ წინწყობიანი სახალი, საშინელი სენია: საშუალო რიცხვით ყოველს ხუთ ავადმყოფში ერთს კლავს.

ეს სენი გადამდებია: კაცს ავადმყოფი კაცისაგან გადაედება. მაგრამ როგორ? რა გზით?

წინეთ ეგონათ, ავადმყოფი ამ სენის წარმომშობ თესლს (უპატარავეს ცოცხალ არსებობ) ნახველის, ოფლის, შარდისა და სხ. საშუალებით ჰაერში განაბნენ და კარგადმყოფს, რომელიც ავადმყოფის ოთახშია, თმა-წვერულაგანა და ტანისამოსზე ედებო.

მადლობა ღმერთს, რომ ეს აზრი არ გამართლდა და მეცნიერულმა ძიებამ აღმოაჩინა, რომ „შავი სახალი“ გადადის ავადმყოფიდან კარგადმყოფზე ტანისამოსის ტილის საშუალებებით: ავადმყოფის ტილი თუ კარგადმყოფს შეაღოდდება და უკბენს, აუტრის „შავი სახალის“ თესლს.

ტილის მიერ კბენიდან კაცს საშუალოდ 8—12 დღის შემდეგ — მინიმუმ 4 დღის და მაქსიმუმ 14 დღის შემდეგ — გამოაჩნდება სახალის ნიშნები. დროს სენის თესლის ატრიდან სენის პირველი ნიშნების გამოცხადებამდის ეწოდება ფარული ანუ ინკუბაციური დრო.

ინკუბაციური დროს განმავლობაში კაცი თავს კარგად გრძობს, სახლში ტრილომს და მაშასადამე შეიძლება გადაადლოს სენი, ვისთანაც კი ახლოს არის.

სენის გამოცხადების პირველი ნიშანი ის არის, რომ ავადმყოფს საშინლად გააცივებს (მუცლის სახალით ავადმყოფს

ხოლოდ შეაცივებს) და სიხე უფად აიწვეს ცელზის 39<sup>0</sup>/<sub>10</sub>—40<sup>0</sup> მდის.

მესამე — მესამე დღეს ან ცოტათი უფრო გვიან) ავადმყოფს გამოეწვს ჯერ მუცელზე და შემდეგ მთელ ტანზე. გამოეწვნილ წინწყობებს რომ თითი დააჭირო, სიწითლე გაჰქრება. მხოლოდ ხელის გულზე და ფეხის გულზე, აგრეთვე ხშირად პირის სახეზე არ არს წინწყობები. ხშირად ზოგიერთი წინწყობს შუაგულში სისხლი ჩაიქცევა (გამოიძვება სისხლის პატარა მილებიდან). ამ აგვილებს მოწვევითლო ფერი აქვს და თითის დაჭერისაგან სიწითლეს არ კარავენ, არ ფითრდებიან. სისხლის ჩაქცევა ხანდახან წინწყობებს შორისაც მოხდება ხოლმე.

სიხე მთელი ორი კვირის განმავლობაში მეტად მაღალია.

ავადმყოფს პირის სახე და თვლები გაწითლებული აქვს, ცნობა მიხილილი აქვს, აბოდებს, ხანდახან ავადმყოფი წარმოიდგენს, ვინმე მემუქრება, წამოვარდება ზეზე, ბრძვის მომვლს, შეიძლება სარკმლიდანაც გადავარდეს. მეტადრე მსმელს ემართება ეს.

ამავე დროს შეიძლება სენი გართულებდეს ფილტვის ანთებით, თრქმობის ანთებით, კანის მოღობითა და სხ.

ენაზე თეთრად ან შავად გადაკრული ხაო აქვს.

ავადმყოფს გამობრუნება შეეცემა 12—14 დღეს. სიხე ძლიერი მოიკლებს და შემდეგ 2—4 დღეს ნორმალური შეიქნება. მაშასადამე ავადმყოფობა გრძელდება სულ 2—2 ნახ. კვირის განმავლობაში.

ავადმყოფთა 15—20 პროც. კვდება უმეტეს ნაწილად მეორე კვირაზე, უმთავრესად გულის სისუსტისა და ნერვიული სისტემის მიერ ნორმალური მუშაობის შეწყვეტისაგან. ხანდახან ავადმყოფს პირველ დღეებშივე ჩაქცევა სისხლი კან ქვეშ სხეულის აუარებელ ალაგას. ამგვარი ავადმყოფი პირველ კვირისვე კვდება.

ხანდახან შავი სახალი უფრო იოლია, ადვილად მოსახდელია. ამ შემთხვევაში ავადმყოფი იხდის სენს 1—1 ნახ. კვირაში.

როგორ უნდა მოუაროთ ავადმყოფს? სასარგებლოა ნელთბილი ვანები, რომელნიც ნერვიულ სისტემას ამშვიდებენ. გულის გასამაგრებელი წამლები (კამფორა და სხ.) თავზე ცივი ტილონუ ყინული აუნდა ედვას, ტანი უნდა უწყინდოთ ცივი წყლით (რომ კანი არ მოაღბეს) და სხ. საქმეებში — რძის მეტი არა ექმება-რა. იმავე დროს თავის თავად ცხადია, როგორც უნდა იყოს თადარიგი. თავი-დათავი — ტილებთან ბრძოლა. მაშასადამე საუკეთესო საშუალება — საპონია.

გარეცხეთ და გამოიცვალეთ ხშირად საცვლები, საბნის პირი, ბალიშის პირი, ზეწარი და სხ. იბანეთ ტანი. ეს — ერთადერთი საშუალებაა.

რატომ არ არის შავი სახალი ევროპაში? მიტომ, რომ იქ, კაი ხანია, არა იციან რა ტილის. და ეს სახიზლარი კბენარი მხოლოდ უკულტურო, გაუნათლებელ ქვეყანაში მრავლობს გასაოკრად.

ღიად! თუ რომელსამე ქვეყანაში „შავი სახალი“ მივიწვარებს, — ეს ამ ქვეყნის უკულტურობის მომასწავებელია.

სირცხვილია, ტილებს შევაშვევინოთ თავი! წყალი ხომ, მადლობა ღმერთს, ბევრია! შეითვისეთ ევროპიული კულტურა! შეიყვარეთ სისუფთავე! ამაღლდით! მოცილდეთ აზიური ქუქუქი! დაენათესავეთ ევროპიელებს! და მაშინ ჩვენში „შავი სახალის“ მწარე მოგონება-ლა დარჩება!

#### ექიმი ვასილ წერეთელი.

### საპარტიზო ჯარების უსვლა არტანუჯის ოლქში

გუშინ ვახუშტის გამოქვეყნებული იყო სამხედრო ცნობები, რომელიც საბაბს მისცემდა ფეიქრათ, თითქოს ბრიტანეთის სარდლობა სთვლიდეს შეუწყნარებლად, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯარებმა ფოცხოვის რაიონში წინ წაიწიონ.

ჯერ კიდევ 17 მარტს საქართველოს მთავრობამ აცნობა ბრიტანეთის სამხედრო მისიას თფილისში, რომ თავდაცვის მიზნებისთვის აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის ჯარები შევიდნენ არტანუჯის ოლქში, სადაც თავმოყრილია საქართველოს მოწინააღმდეგე „ბანდები“. მთავრობამ წინადადება მისცა შეედგინათ შერეული კომისია საქართველოს და ინგლისის მისიის წარმომადგენლებისაგან, რომელიც გამოარკვევდა ახალქალაქისა და არტანუჯის ოლქის დროებით საზღვრებს.

19 მარტს ბრიტანეთის სამხედრო მისიამ აცნობა საქართველოს მთავრობას, რომ ის თანახმაა შესდგეს ასეთი შერეული კომისია ინგლისელი აფიცრის თავმჯდომარეობით. ამასთანავე მისია ატყობინებდა, რომ საქართველოს ჯარების შესვლა არტანუჯის ოლქში მართლდებოდა მხოლოდ, როგორც აუცილებელი თავდაცვითი ზომა საქართველოს მხრივ და რომ ყველა სამხედრო მოქმედებანი ამ ტერიტორიაზე უნდა განისაზღვროდეს ყოველგვარი შეიარაღებული „ბანდების“ გაფანტვით, რომლებიც კი ემუქრებიან საქართველოს ჯარებს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ბრიტანეთის მისიამ საჭიროდ დაინახა დენიშნა პოლკოვნიკი სტუარტი თავის წარმომადგენლად, რომ თან ახლდეს ქართულ ჯარებს არტანუჯის ოლქში შესვლის დროს.

### აფხაზეთის საზღვარსა და მოხალისეთა წინააღმდეგ.

დემოკრატიულ არჩევნების საფუძველზე არჩეულ აფხაზეთა წარმომადგენლობამ აფხაზეთის სახალხო საბჭო გახსნა. უკანასკნელ დღეებში საბჭოს თავბირი ჰქონდა აფხაზეთის ტერიტორიაზე გაგარის რაიონის მოხალისეთა არმიის მიერ დაჭერის შესახებ. ეცნობთ რა მომხდარ ფაქტს, შეუსაბამო და ასაშფოთებლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში მოყოლებული აფხაზეთის ავტონომიურ მმართველობამ დაადგინა: ეცნობოს ეს ამბავი დეპუტებით საქართველოს მთავრობას და თვით უმაღლეს მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენელთ, რომ ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს აფხაზეთის ტერიტორიის დაჭერის გამო, რაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან თხოულობს დაუყონებლივ ზონების მიღებას და დაჭერილ ტერიტორიის გაწმენდას მოხალისეთა არმიის მიერ საზღვრებამდეს მდ. ბზიბთან. აფხაზეთის სახ. საბჭოს თავმჯდომარე ემუხვარი

### სამხედრო მინისტრის ბრძანება ჯარების მიმართ.

მძიმე წუთები განიცადა ჩვენმა ქვეყანამ ჩემი სამხედრო სამინისტროს მეთაურობის დროს: შინაური ანარქია და მასთან ბრძოლა, ომი სომხეთთან და ოსმალების აგენტების გამოსვლა ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში. ამ მომენტებში დადგა საკითხი ჩვენი არსებობისა, საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ წეს-წყობილებისა.

ქართველი მხედრობა თავგანწირული შეგნებით შეხვდა ამ მომენტებს და თავის სისხლით სახალხო გვარდიისთან ერთად დაიცვა საქართველოს თავისუფლება და დემოკრატიული წეს-წყობილება. შულავერის და აწყურის ფრონტზე, საჩხერის და ლეჩხუმის მიდამოებში, მე პირადათ მოწმე ვიყავი ჩვენი მხედრობის ვაჟაკობისა და თავგანწირვისა.

ქვეყნის დაცვასთან ერთად, რომელიც მუდმივ ბრძოლას მოითხოვდა, უნდა მომხდარიყო მთელი სამხედრო სისტემის და აპარატის განახლება. ამ მძიმე პირობებში თქვენი დახმარებით მე ესეც შეძელი. შექმნილი სამხედრო სისტემა და აპარატი თვით ცხოვრებამ გამართლა, მათი მეცხებით თქვენ ნტერი რამდენჯერმე შემუსრეთ, — შულავერთან, აწყურ-ახალციხესთან და ფოცხოვში.

გზა გაჩაჩხულია, მიზანი აღებულია, საშუალება გამოძებნილია, იქნებ დღესაც ხეთ შეერთებული დისკინაინალიონ ძალის აუცილებლობა და უფრო მოსახლეობა თქვენ იგემეთ სიტკობა მოვალეობის ასრულებისა; თქვენ მსხვერპლი გაიღეთ და განიცადეთ გრძობა გამარჯვებულისა. ვინც თავის მოვალეობის აღსრულების დროს დაიღუპა, მათ ცხედრის წინაშე მუხლს ვიდრეკ.

შენ კი, ქართველო მხედრობავ, დღეს, როდესაც მე თქვენ ხელმძღვანელობას თავს ვანებებ, სამშობლოს სამსახურისათვის მადლობას გიძღვნი და იმედი მაქვს, რომ თქვენ ესლაც მუდამ მზათ იქნებით საყვარელი სამშობლოს დასაცავათ.

სამხედრო მინისტრი გიორგიძე.

### ახალციხის მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭომ.

ახალციხის მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭომ, მოისმინა რა კრებაზე აზერბაიჯანის მთავრობის საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილი ნოტა, ერთხმით დაადგინა: გლახთა დეპუტატების საბჭო ითვალისწინებს რა ახალციხის მაზრაში ოსმალების ემისარების და ზოგიერთ ბეგების მიერ ფოცხოვიდან მოწყობილ ავანტიურისტურ მოქმედებას, ღრმად დარწმუნებულია, რომ ახალციხის მაზრის მშრომელ ხალხს, მცირე ნაწილის გარდა არავითარი მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებაში. საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობა ერთგვარად იცავს ყველას ინტერესებს განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ახალციხის მაზრა საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ახალციხის მუსულმან გლეხობას სურს მშურათ ცხოვრება საქართველოს ხალხებთან. ახალციხის მაზრის გლეხების სახელით ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ გვესაქირობება ადერბეიჯანის მთავრობის მფარველობა და ვსთხოვთ მას ჩვენს საქმეებში ნუ ჩაერვა და ნუ შეუშლის ხელს ადერბეიჯანის და საქართველოს მეგობრულ კავშირს.

საბჭოს წევრები: ოსმან შევქი ეფენდი მიქელაძე, ყადირ გულიშვილი გვარამაძე, რაჯებ ალი-ოღლი ოსმალიძე, სოლომონ შურსალ-შუხელ-ილიაძე, მოულა-შორაფ, მოლა ალიოღლი გიორგი მელე შალვა გარდაიძე, ამა მოლაი-ოღლი, ჯიბ სილი-ოღლი რუსტემ, იბრაევი-ოღლი აზის სალემიან-ოღლი.

### ქ. ფოთი

როგორც რუსეთიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ ნოვოროსიასა და ქერჩში პური და შაქრით დატვირთული გემები სდგას საქართველოში გამოსამგზავრებლათ, მაგრამ დენიკინის განკარგულებით ნავთ-სადღურადან მოხსნის უფლებას არ აძლევს. ამის გამო ერთი თვეა რაც რუსის გემების შემოსვლა შეწყდა.

— 21 მარტს ღამით არა ჩვეულებრივი ქარი და ზღვის დღევა ასტყდა, დღევა იმდენათ ძლიერი იყო, რომ ტალღები თვით ნავთსადღურში სცემდა. ასეთი ძლიერი დღევა სოხუმის ქარის დროს იცის. პარასკევს დღით, 1 საათზე ფოთის ნავთსადღურში შემომავალი ფქვილით დატვირთული გემი „წმ. ნიკოლოზი“ დამარცხდა. როგორც გადმოგვცემენ. „ეკიპაჟი“ და თვით ფქვილის პატრონიც დაიღუპა.

— ამავე დღეს დაზარალდა წინააღმდეგ სოხუმისაკენ გასული, საქართველოს გემი „ქორაზნი“, რომელიც ცუდი ამინდის გამო სოხუმში ვერ შესულა; უკანვე დაბრუნებისას, ფოთის ნავთსადღურიდან ერთი ვერსის დაშორებით მარცხი მოუვიოდა. არის ზარალი.

# ახალი ამბავი

ა თ ბ ი ს ი.

**საქართველოს დელეგაციის ნაწილის დაბრუნება.** სახავო დელეგაციის წევრები ბ. ბ. ნიკო ნიკოლაძე, ზურაბიშვილი ილი. ნაკაშიძე, გენ. ოდიშელიძე და გრ. რომაქიძე ამ დღეებში სტამბოლიდან თბილისს დაბრუნდებიან.

ახალქალაქის მაზრაში. ბრიტანეთის სახელმწიფო წარმომადგენელმა ახალქალაქში აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ახალქალაქის მაზრის მცხოვრებლები ძლიერ გაკირვებას განიცდიან სურსათის მხრივ და თუ ახლო კვირაში არ აღმოუჩინეთ დახმარება, ცუდი შედეგი მოყვება. დასათესი ხორბალი ამ წლისათვის არ აქვთ და თუ მათ არ მიეცით ხორბალი, მცხოვრებლებს საშუალება არ ექნებათ მომავალ წელში თავი გამოიკვებონ. დასათესად საქირთა 30,000 ფუთი ხორბალი.

**„ნაიმორები“.** 1 აპრილისათვის ქუთაისში ვ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით გამოვა ჟურნალ „ნაიმორების“ მეორე ნუმერი.

**კონცერტი.** დღეს, ქალაქის თეატრში გაიმართება ქართული საერო კონცერტი, ორ განყოფილებათ.

**ყარაიაზიშვილადსახლებულთა შესახება.** ყარაიაზის გადმოსახლებულთა კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ყველა ის პირი, რომელთაც მიღებული აქვთ ყარაიაზში მიწა და სახლი: ვალდებული არიან პირველ აპრილისთვის აქიყვნენ, სახლ-კარს უფლიდენ და სასოფლო მუშაობას ეწეოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტი მათ მიწას და სახლკარს გადასცემს ახლად მოსულებს, რომლებიც დაეინფით მოითხოვენ დასახლებას. გვარდიელები და ჯარისკაცები ვალდებული არიან დროზე შეგვარდებიან, თუ ფრონტზე იმყოფებიან. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ სახლების შესაკეთებელი მასალა და სათესლე ხორბალი მიღებულია მთავრობისგან.

**სახალხო განათლების სამინისტრო** ატყობინებს სამაზრო ერობას და ქალაქთა თვითმართველობებს, რომ განსაკუთრებულ კომისიისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს სახალხო სასწავლებლის ტიპის და საყოველთაო სასკოლო სწავლების გეგმის შემუშავება საქარობას სცნობს ამ დღემდე მდებარე საკითხის შესახებ ერო-

ბათა და ქალაქთა თვითმართველობათა, როგორი ტიპის უნდა იქნეს სკოლა: 1) საზოგადო განათლებისა თუ დაბალ სპეციალურ ცოდნასაც უნდა იძლეოდეს, 2) რამდენ წელიწადს უნდა გრძელდებოდეს სწავლა, 3) რამდენ საფეხურიანი უნდა იქნეს სახალხო სკოლა, 4) სასურველია მისი კავშირი საშუალო სსწავლებელთან უნდა იქნეს დამოუკიდებელი ხასიათის, 5) ვინ უნდა ინახავდეს სკოლას 6) სახელმწიფოებრივ მოსახრებით და დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით შეიძლება თუ არა დაუყონებლოდ დაწესდეს სასკოლო გადასახადი.

**ქურდობა.** 22 მარტს, ღამით ვასილ კონსტანტინეს ძე მასურაძემ და ალექსანდრე მასურაძემ მოიპარეს ფურჩიდან სადაც ისინი მსახურობდნენ 30,000 მანეთი. ბოროტგამზარებლების დასაქვრავს მიღებულია ზომები.

**საქსოვი ქარხანა.** ქუთაისის სამაზრო ერობა თავის საქსოვი ქარხნის საკიროებისთვის უკვე ნაწილობრივ დაიკავა მ. ჩარეკოვების სახლები ქარვასლის ქუჩაზე.

**სახალხო განათლების სამინისტრო** ატყობინებს ერობათა და ქალაქთა თვითმართველობებს, რომ არა სახალხო უმაღლეს დაწესებულებით სასწავლებელთ კრედიტი არ გაეხსნებათ და არც 1918 წლის 3 მარტის დამატება მიეცემა.

**მარილი.** ქუთაისის მაზრის ერობამ მიიღო 7 ვაგონი მარილი.

**თეატრი.** ხუთშაბათს, 27 მარტს, ქალაქის თეატრში გაიმართება დამსახურებული რეჟისორის მ. ქორელის იუმორისტული საღამო შემდეგი შინაარსით:

**სადგურ გელათზე თავდასხმა.** გელათის სადგურის უფროსმა დევეშით აცნობა ქუთაისის სადგურის მილიციის უფროსს, რომ 21 მარტს, სადგურ გელათს თავს დაესხა სამი უცნობი შეიარაღებული. მათ გახრკეს იქ მყოფი მგზავრები და მოხელეები და რომ ვერასფერი იპოვეს, ამის შემდეგ გაიტაცეს მორიგი მოსამსახურე მერკუროვი და მიიძალეს. მერკუროვი გზიდან გაუშვეს. მისთვის ცუდი არაფერი მოუყენებიათ.

**თავდასხმა.** სამტრედიიდან ჩამოსული პირები გადმოგვცემენ, რომ სადგურ საჯავახოდან სამტრედიის მიმავალ მატარებელს თავს დაესხნენ ბოროტ-გამზარებლები. მგზავრები გახრკეს გაიტაცეს ფული და სხვა ნივთები.

შემოსდგა და რომელთანაც ჩვენ ვესწრავით ურთიერთ ინტერესების უზრუნველყოფით დაახლოებას, უკვე აღვავიქვ ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება. საქართველოს მთავრობა მოწადინებულია მოკავშირეთა დანარჩენ სახელმწიფოებთანაც შეთანხმების მიღწევას და მათი დახმარებით საერთაშორისო ოჯახში სრულფუნქციონირებას წვერათ ჩარიცხვას.

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მეზობელი სახელმწიფოები — სომხეთი, ადრბეიჯანი და მთიულეთი რესპუბლიკა, რომელთაც ჩვენ ველტვით განვამტკიცოთ კეთილშემზობლური ურთიერთობა, საბოლოოდ დაადგენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივობის გზას, ხოლო ეს საუკეთესო თავდებია მათთან მჭიდრო კავშირის დამყარებისა და საერთო ძალ-ღონით ჩვენი პოლიტიკური თავისუფლების დაცვისა.

საქართველოს საგარეო, აგრეთვე საშინაო მდგომარეობას მეტის-მეტად ართულდეს მსოფლიო ომით გამოწვეული ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ჩვენს თვალ-წინ ახალ-ახალ ქვეყნებს მოედვა და რომელიც თანდათან ვითარდება და ღრმავდება. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატიის შემოქმედება და უნარი სძლევს ამ დაბრკოლებათ და ევროპაში მოსალოდნელ ცვლილებას ჩვენი მშრომელთა ბატონობის განსამტკიცებლად გამოიყენებს.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! მთავრობა თავის მოვალეობა

**დაბრუნება.** მაზრის კომისიის განკარგულებით დაატუსაღეს და საგუბერნიო ციხეში მოათავსეს მიხეილ ქარხაძე და ბართლომე კოტორევიშვილი რომელთაც ბრალდებათ სოფ. ვარციხეში სახელმწიფო ქონების გატაცება.

**ყაჩაღის დაჭერა.** ბილდათის რაიონის კომისარი ასათიანი დევეშით ატყობინებს მაზრის კომისარს, რომ მან დააპატიმრა ცნობილი ყაჩაღი ქართველიშვილი.

**ქალაქის არჩევნები ზუგდიდში.** ზუგდიდის ქალაქის არჩევნები 16 მარტს მოხდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.293 ამომრჩეველი. აქედან ეროვნულ-დემოკრატიებმა მიიღეს 432 ხმა, ს.დემოკრატიებმა — 391 ხმა, ს. ფედერალისტებმა 310, ს. რევოლუციონერებმა 109 უპარტიოთა კავშირმა 51.

20 ხმოსანიდან ერ. დემოკრატიებმა გაიყვეს 6 ხმოსანი, ს. დემ. 6 ხმ. ფედ. 5 ხმ. ესერებმა 2 და უპარტი. 1. ხმოსანი

## ზარტიული ცნობრება.

სამშაბათს, 25 მარტს საღამოს სრულ 6-საათზე რეალურ სასწავლებლის დარბაზში მოხდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ამავე უბნის წევრთა და თანამოაზრეთა კრება. ასარჩევია უბნის კოლექტივი. წევრთა დასწრება კრებაზე სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 27 მარტს, საღამოს სრულ 5-საათზე, ილია წინამძღვარის სახლში (ძვ. თბ. ქუჩ. ხარაზოვის ბაღთან) მოხდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საფიჩხის საუბრო კრება. სხვა საორგანიზაციო საკითხთა შორის უნდა არჩეული იქნას ამ უბნის კოლექტივი. წევრთა დასწრება კრებაზე სავალდებულოა.

## სამართლმოს საგაუთავი.

როგორც ირკვევა, ერთ-ერთ შემოსავლის წყარო საქართველოს რესპუბლიკისა, საბაჟოები წარმოადგენს. სხვა დანარჩენი დაწესებულებანი მხოლოდ დეფიციტს იძლევა. სახელმწიფოს გასავალი იფარება ბონებით, რომელიც ვალად აწევა რესპუბლიკას და საბაჟოების შემოსავლით. ვინც საბაჟოების მოხელეთა ცხოვრებასთან დაახლოებული არ არის, ალბად იფიქრებდა; რადგან ასეთი შემოსავლიანი საბაჟო უწყება, იმის მოხელენი სხვა უწყების მოხელეებთან შედარებით უკეთ იქნებიან დაკმაყოფილებული, მაგრამ სინამდვილეში კი წინააღმდეგაა ვხედავთ.

ბათ რაცს აშკარად განაცხადოს, რომ საქართველოს განაპირა კუთხეებში ბნელი რაიკიონური ელემენტები სცდილობენ რესპუბლიკის დამხობას და ამ მიზნით გარეშე ძალებს იშველიებენ. ახახეთსა და სამუსულმანო საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს. ჩვენი მიზანია ამ კუთხეებში თავისებური განვითარების უზრუნველყოფა, ადგილობრივი ძალებით შინაური მართვა-გამგეობის მოწყობა და დედა-სამშობლოსთან შეგნებულად დაკავშირება. ახახეთის სახალხო საბჭოს მოწვევით. რომელიც არჩეულია საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციანალური სისტემით ორივე სქემის მიერ, უკვე ჩაეყარა საფუძველი აფხაზეთის საქმეთა ამ ნიადაგზე მოწესრიგებას.

საქართველოს მთავრობა მწვავეთ გრძნობს სამუსულმანო საქართველოს დიდი ნაწილის დროებით ჩამოშორებას და სცდილობს ისტორიული უსამართლობის გამოსწორებას და მთლიანი რესპუბლიკის ფარგლებში მთელი სამუსულმანო საქართველოს თავმოყრას.

მთავრობას განზრახული აქვს დროებით ქალ. ახალციხეში სამუსულმანო საქართველოს მმართველობის შედგენა და ამ მხარეში დემოკრატიულ რეფორმათა განხორციელება.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ კუთხეების შემოერთება და კულტურული აღორძინება აუცილებელი პირობაა ჩვენი

არცერთი უწყება რესპუბლიკისა, ჯამაგირის მხრივ ისე უყურადღებოდ არ დატოვებული, როგორც საბაჟო.

თუ კი საბაჟოს შემოსავლის კლებამ კერძით სხვა უწყებები კმაყოფილება, და საბაჟოს მოხელენი კი ნახევრად შინიერი დაიარებიან, ამას მთავრობა სხვა დროს ექსპლოატაციას უწოდებდა. ახლა კი საქრობა გაჩუმდეს და კიდევაც, სდუმს.

საბაჟოების მოხელენი ზევიდან ელოდენ მათი მდგომარეობის გაუჯობებისას, მაგრამ დღემდე არაფერი სჩანს. ესლო კი. მთავრობამ უნდა „ოგემოს“ მისთვის ჩვეული საშუალება, „გაფიცვა“.

მოხელე რაინდ სახელმწიფოებრივი მიზნით არ უნდა იყოს გამსკვალული, როდესაც მას დედინაცვლობას უწევენ და ნამდვილ გერადაც არა სთვლიან, მოთმინება ეკარგება.

ვისი ბრალია, რომ ბონები ფურცელივით დაცვინდა და მისი ამკრები აპარატი მთავრობას ვერ მოუწყვია? იქნებ მათი ცხოვრების გაუჯობებისა საქრობა რომელიც თავის მრავალრიცხოვანობით საარჩევნო უბნებს 1—ნომრით ამოავსებს? იქნებ ასეთი წესით ფიქრობს მთავრობა მშრომელთა რესპუბლიკის დამკვიდრებას? 3—ო.

## ფრანგული პრესის ცნობები.

„პტი პარიზენი“ იუწყება, რომ ბალსევიკები წინ მიიწევენ ბესარაბიისაკენ. რუმინის საზოგადოებაში ეს გარემოება შიშს იწვევს. გერმანელები, რუსები და უნგრელები თავმოყრილი არიან ტრანსილვანიის საზღვარზე და შეადგენენ... (გამოტოვებულია) დივიზიას. წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც კანაში უნდა შესდგეს 1 აპრილს, მოიწვია მთელი ქვეყნის სპეციალისტები იმ მიზნით, რომ შეიმუშავოს პროგრამა ტანჯვის შესამსუბუქებლად და ხალხთა ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს პირველი კონფერენცია თავდაპირველათ განიხილავს პროგრამის იმ ნაწილს, რომელმაც უნდა შეიმუშავოს საერთაშორისო საბჭოს ორგანიზაცია, რომლის მიზანია გამოძებნოს საშუალებაანი ევიდემიის ასაკლებლათ და დაიცვას ბავშვთა ჯანმრთელობა. ამ კონფერენციას მოყვება სხვა კონფერენციები, რომლებიც მიზანია გამოიმუშავონ სრული პროგრამა, რომელსაც შემდეგ წარუდგენენ განსახილველათ ყველა წითელი ჯვრების პლენალურ სხდომებს, კრებები მოხდება შენევაში ზავის ჩამოგდების ერთი თვის შემდეგ. პრეზიდენტ ვილსონმა, კლემანსომ, ლოიდ ჯორჯმა, ორლანდომ, სონინომ და დიდი სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა მოიწონეს ეს პლანი.

რესპუბლიკის ნორმალური განვითარებისა და თვით არსებობისაც კი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სამართლიანი მისწრაფება საქართველოს ერისა პპობებს სრულ თანაგრძობას მოკავშირე სახელმწიფოთა მხრივ.

რესპუბლიკის ფარგლებში ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა, თანასწორი პოლიტიკური უფლებით სარგებლობს. მთავრობა მიზნათ ისახავს შექმნას პირობები ყველა ერთა კულტურულ-ეროვნულ უფლებათა სრული უზრუნველყოფის და მათი განვითარების.

ჩვენს მდგომარეობას არ შეეფერება მართვა-გამგეობის ის რთული სისტემა, რომელიც გვიანდერძა რუსეთის იმპერიამ.

მთავრობა მიზნათ ისახავს მართვა-გამგეობის გამარტივებას. ის შეეცდება სეგებით დაეყრდნოს თვითმართველობების ორგანოებს, რომელთაც მიენიქათ უფლება ადგილობრივ მართვა-გამგეობისა და რომელიც ხალხთან დაახლოებული არიან. მთავრობა ახლო მომავალში შემოიღებს საერთო თვითმართველობას იმ მაზრებში, რომელიც ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან ამ ინსტიტუტს და დაქარბები შეუდგება წვრილ საერობო ერთეულების მოწყობას, რომელიც დემოკრატიულ რესპუბლიკის საფუძველს

